*განკარგულების პროექტი*

*წალკის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ*

„შეზღუდული შესაძლებლობიის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა,

1. დამტკიცდეს წალკის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმა თანდართული დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **ი. გიგინეიშვილი**

*დანართი*

*მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2025 წლის სამოქმედო გეგმა*

ლოგიკური ჩარჩო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **მიზანი 1**<br><br>**(სტრატეგიის მიზანი 3.5)** | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდა. | | | |
| **ამოცანა 1.1 (სტრატეგიის ამოცანა 3.5.2)** | შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და მისაწვდომობის გარანტიების გაძლირება. | | | |
| | **ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი:**<br><br>კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ ითვალისწინებს შშმ პირების მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერებას ადმინისტრაციულ და სხვა ღონისძიებების გატარების გზით ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე | **ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი:**<br><br>შშმ პირების მისაწვდომობის გარანტიების გაძლიერების განხორციელება დაწყებულია ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიებების გატარებით. | | |
| **აქტივობა 1.1.1** | შენობა-ნაგებობების მშენებლობისას და რეაბილიტაციისას „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების ეფექტიანად განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება | | | |
| | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი:**<br>1 გადამზადებული თანამშრომელი | **შესრულების ვადა** | **დაფინანსების წყარო** | |
| | | 2025 წლის მე-2 კვარტალი | **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი** | **სხვა** |
| | | | 1350 | |

<table>
<tr>
<td>აქტივობა 1.1.2</td>
<td colspan="4">პარტნიორი უწყება:<br><br>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო<br><br>მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობების იდენტიფიცირების დაწყება, რომელიც შესაძლებელია დაექვემდებაროს ადაპტირებას</td>
</tr>
<tr>
<td rowspan="3"></td>
<td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:<br><br>იდენტიფიცირებულია სულ მცირე 2 შენობა</td>
<td>შესრულების ვადა</td>
<td colspan="2">დაფინანსების წყარო</td>
</tr>
<tr>
<td rowspan="2">2025 წლის მე-3 კვარტალი</td>
<td>მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი:<br><br>3500</td>
<td>სხვა</td>
</tr>
<tr>
<td>ადმინისტრაციული ხარჯი</td>
<td></td>
</tr>
<tr>
<td></td>
<td colspan="4">პარტნიორი უწყება:<br><br>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.</td>
</tr>
</table>